პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 219 (4729)

1972 წ. 4 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## აშკარა უპირატესობით

ლონდონი, 2 ნოემბერი. 8:2 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ადგილობრივ „როიალ ალბერტ ჰოლში" გამართული რუსეთის ფედერაციისა და ინგლისის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა.

მეორე უმჩატეს წონაში ულანუდელმა ვ. სტრელნიკოვმა თუმცა ქულებით, მაგრამ საკმაოდ იოლად სძლია დ. სმითს. შემდეგ საბჭოთა გუნდს გამარჯვების ქულები მოუტანეს: ვ. კულიკოვმა (სარანსკი), ვ. ლვოვმა (ჩებოქსარი), ვ. ობოტნინმა (მოსკოვი) და ვ. სიმონოვმა (ბელგოროდი).

რინგის არბიტრმა პირველივე რაუნდში გამარჯვება მიაკუთვნა პერმელ ვ. პავლოვს, რომელიც ტ. უოლერს ხვდებოდა. ინგლისელი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში.

ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ორ ინგლისელ არბიტრს მიკერძოებით რომ არ გადაეწყვიტა ინგლისელი ფ. ლუკასისა (მეორე საშუალო წონა) და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელ ა. შეპილოვის ორთაბრძოლის ბედი ინგლისელის სასარგებლოდ.

მეორე ქვესაშუალო წონაში კრასნოდარელმა ი. ზიბოროვმა ქულებით სძლია ს. სპიერს. მოსკოველმა ი. ბისტროვმა (ქვემძიმე) წააგო მიუნჰენის ოლიმპიადის მონაწილე უ. ნაიტთან, ხოლო ვოლგოგრადელმა მძიმეწონოსანმა ი. ნესტეროვმა პირველ რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო კ. ფორბსი.

— შეხვედრის შედეგი ნათლად მეტყველებს გუნდების ძალთა შეფარდებაზე, — საკდესის კორესპონდენტს განუცხადა ინგლისელთა ნაკრების მწვრთნელმა ჯეიმსმა. — ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ქვემსუბუქი წონის მოკრივე ლვოვმა მოახდინა. მას დიდი მომავალი აქვს.

თავისი აღსაზრდელებიდან საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ლ. ხოკოლოვმა შეაქო ლვოვი, სტრელნიკოვი, პავლოვი და ნესტეროვი.



## გაუფრთხილდი ჩემპიონის ღირსებას!

... პირველი მარცხის სიმწარე ქვეყნის ახალმა ჩემპიონებმა წყალბურთში — მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა — ასპარეზობის ბოლო დღეს იწვნიეს. წყალბურთელებმა, რომელთაც ყველაზე მეტი გოლი ჰქონდათ გატანილი (95. საშუალოდ ხუთი-ექვსი ბურთი ყოველ მატჩში) და ყველაზე ნაკლები — გაშვებული (61), წააგეს აუტსაიდერებთან — ალმა-ათის დინამოელებთან — 1:2.

ამ გამარჯვებით ყაზახეთის გუნდმა შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. მოსკოველებთან იგი თავგანწირვით იბრძოდა, ხოლო ოქროს მედლების ლაურეატებმა (სხვათა შორის, ისინი პირველად გახდნენ ჩემპიონები) ბევრი გესლიანი სიტყვა მოისმინეს ცუდი თამაშის გამო.

წარსულში შესანიშნავი წყალბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი პეტრე მშვენიერაძე დაჟინებით ცდილობდა თავისი ვაჟისგან — ნუგზარისგან გაეგო, რატომ ითამაშეს ასე ცუდად, არაჩემპიონურად მისმა თანაგუნდელებმა, რომლებმაც წინადღით ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. სახეაწითლებული ნუგზარი თავს იმართლებდა: რაც შეგვეძლო, ვცდილობდით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ფსიქოლოგიურად ვერ განვეწყვეთო...

სტუდენტებმა ჩემპიონატის 17 მატჩი უზადოდ ჩაატარეს. შესანიშნავად თამაშობდნენ მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონები ა. დრევალი, ნ. მელნიკოვი, ა. კაბანოვი, ევროპის ექს-ჩემპიონები, გუნდის ვეტერანები ბ. პოპოვი და გ. პუშკარიოვი, უნივერსიტეტის გუნდის მთავარი მეკარე, პირველობის საუკეთესო გოლკიპერად აღიარებული ი. მიტიანინი, გ. რომანჩუკი და მშვენიერაძე. ფინიშზე კი სხვაგვარად მოხდა.

თავიანთი ბოლო მატჩის გამო თავს ალბათ უხერხულად გრძნობენ ვერცხლის პრიზიორებიც — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელები, რომელთაც ეს საპატიო ადგილი ასევე ვადამდე მოიპოვეს. მათაც აუტსაიდერთან—ვოლგოგრადის „სპარტაკთან" წააგეს — 3:4. ამ გამარჯვების წყალობით სპარტაკელები უძლიერესთა ჯგუფში დარჩნენ...

მეზღვაურებმა, რომელთა შორის ექვსი ოლიმპიური ჩემპიონი იყო, ვერ გაუძლეს მეტოქეთა იერიშს.

— ჩემპიონატმა, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა, გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა გუნდის მოთამაშეთა ოსტატობა საგრძნობლად გაზრდილა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის წყალბურთისა და წყალში ხტომის განყოფილების უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. შლიაპინმა. — წყალბურთელები უკეთ ცურავენ და ფიზიკურადაც უფრო კარგად არიან მომზადებული. უფრო შედეგიანადაც თამაშობდნენ. ყოველ შეხვედრაში რვაცხრა გოლი გაჰქონდათ. მატჩები საინტერესოდ და დაძაბულად ჩატარდა. ანგარიშში სხვაობა ხშირად ერთ გოლს არ აღემატებოდა. ყოველი მეოთხე შეხვედრა ყაიმით მთავრდებოდა.

უმაღლესი ლიგის ათივე გუნდი (მათ შორის, მოსკოვის „ტორპედო", რომელმაც ამ ლიგაში ადგილი ლვოვის დინამოელებს დაუთმო), 4 ნოემბერს სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში მიიღებს მონაწილეობას. ფინალური მატჩი მოსკოვში მოეწყობა 19 ნოემბერს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის წყალბურთელებს ამავე დროს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის მოუწევთ ბრძოლა: ნახევარფინალურ ჯგუფში ითამაშებენ ათენში (10-12 ნოემბერს). მეორე ნახევარფინალური ჯგუფის მატჩები ამავე რიცხვებში სტოკჰოლმში მოეწყობა.

ა. პერეპელიცა.

მოსკოვი. (საკდესის კორ.).

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდი.

ი. მორგულისის ფოტო.

## მეტი ყურადღება გამოიჩინეთ!

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ უკვე „სპორტლოტოს" 18 ტირაჟში მიიღო მონაწილეობა. ამ შედარებით მოკლე ხანში „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში 67437 ბილეთი შემოვიდა, სადაც სწორად გადახაზულია სპორტის სამი სახეობა. 3309 ბილეთზე ზუსტადაა გადახაზული 4-4 ნომერი, ხოლო ხუთი სახეობა 65 კაცმა ამოიცნო. მარტო 29-ე ტირაჟში, რომელიც მოსკოვში შედგა, ჩვენს რესპუბლიკაზე მოდის 4341 მოგება, რომლის საერთო თანხაც 50936 მანეთს შეადგენს. მათ შორის სამი ყველაზე დიდი მოგებაა — 5000 მანეთი. მოიგეს ხობელმა ჯ. ბერაიამ, ლანჩხუთელმა ე. დარჩიამ და ზუგდიდელმა ნ. მაქაცარიამ.

სამაგიეროდ, დასანანია, რომ აგვისტოში, თუ შეიძლება ითქვას, მოგება ქარს გაატანა „სპორტლოტოს" 7627 მონაწილემ, სექტემბერში — 7282, ოქტომბერში — 8513 კაცმა. მიზეზი უყურადღებობა გახლავთ. მაგალითად, 27-ე ტირაჟში ქუთაისელმა ზ. გიგიაძემ ბარათის „ა" და „ბ" ნაწილებში სწორად გადახაზა ოთხი სახეობა, ხოლო „გ" ნაწილში ოთხიდან ერთ-ერთი სხვა ნომრით შეცვალა. შედეგად 118-ის ნაცვლად მან 4 მანეთი მიიღო.

ტ. კოპალიანმა „ა" და „ბ" ტალონებზე ექვს-ექვსი ნომერი გადახაზა, ხოლო „გ" ტალონზე — ხუთი. ამიტომ 45-ის მაგიერ მან 3 მანეთი მიიღო.

ასეთი შემთხვევა ძალიან ხშირია. შეცდომები სულ სხვადასხვაგვარია: ზოგი ერთ-ერთ ტალონს შეუვსებელს ტოვებს, ზოგი სხვადასხვა ტალონზე სხვადასხვა სახეობას აღნიშნავს, ზოგი შეცდომას უშვებს და მერე ასწორებს. ეს არ შეიძლება „სპორტლოტოში". ამ თამაშის წესები ძალიან მარტივია, მაგრამ დიდ სიზუსტესა და ყურადღებას კი მოითხოვს. ამიტომ გაფრთხილებთ: თუ წესები დაგავიწყდეთ, ნუ იჩქარებთ „სპორტლოტოს" ბილეთების ყუთში ჩაყრას, ჯერ ყურადღებით წაიკითხეთ ამ თამაშის წესები ბარათის უკანა გვერდზე.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

## წითელი ყელსახვევები საჭადრაკო კლუბში

... მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი და სსრ კავშირის ყველაზე ნორჩი ოსტატი, ქვეყნის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, 16 წლის ა. კოჩიევი — აი, მონაწილენი ერთ-ერთი პარტიისა იმ 36 შეხვედრიდან, რომლებიც 1 ნოემბერს მოეწყო მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. სმისლოვისა და ხუთი სხვა სახელგანთქმული დიდოსტატის — ბ. სპასკის, ტ. პეტროსიანის, მ. ტალის, ა. კარპოვის და დ. ბრონშტეინის დანარჩენი მეტოქეები კიდევ უფრო ახალგაზრდები და ნაკლებტიტულოვანნი იყვნენ: ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები.

მაშ ასე, გათამაშდა I ტური ახალი შეჯიბრებისა, რომელიც საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პიონერული ორგანიზაციის თაოსნობით ტარდება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. საკავშირო ტურნირში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, რიგისა და ჩელიაბინსკის პიონერთა სასახლეების გუნდები, რომელთაც ხელმძღვანელობენ უმაღლესი საჭადრაკო წოდების მფლობელნი, შესაბამისი სასახლეების აღზრდილი მოჭადრაკეები.

— მოვა დრო და თქვენ უკვე აღარ იქნებით პიონერები, მაგრამ საჭიროა, რომ ზოგიერთი თქვენგანი დიდოსტატი გახდეს, — უთხრა ბავშვებს შეჯიბრების საზეიმო გახსნაზე მთავარმა მსაჯმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა.

— დიახ, ასეთი შეჯიბრებების მიზანია ახალი ბოტვინიკების, სპასკების, პეტროსიანების აღზრდა, — აღნიშნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ხ. არუთინიანმა.



შეჯიბრების გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ტიაჟელნიკოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოლესოვი.

და აი, ოთხ დარბაზში სეანსები დაიწყო. ყოველი დიდოსტატი ყველა გუნდთან თამაშობს, გარდა თავისი კოლექტივისა. მისი ქულები თანაგუნდელთა შედეგებთან ერთად ჯამდება (გუნდში 6 მონაწილეა).

სტარტზე ლენინგრადის პიონერთა სასახლის გუნდის ლიდერი სპასკი ნორჩ მოსკოველებს ეთამაშებოდა, პეტროსიანი (თბილისი) — კიეველებს, სმისლოვი (მოსკოვი) — ლენინგრადელებს, ტალი (რიგა) — ჩელიაბინსკელებს, კარპოვი (ჩელიაბინსკი) — რიგელებს, ბრონშტეინი (კიევი) — თბილისელებს.

ბოტვინიკმა შეჯიბრების გახსნის დროს თქვა: „ზოგს მიაჩნია, რომ დიდოსტატები ბავშვებს ყველა პარტიას მოუგებენ, მაგრამ არა მგონია, ასე მოხდეს". ეს სიტყვები გამართლდა.

პირველ ტურში „მშრალ" ანგარიშს — 6:0 — მხოლოდ ტალმა და კარპოვმა მიაღწიეს. დანარჩენ შეხვედრებში ნორჩები უფრო მარჯვედ იყვნენ და 24 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მიიღეს. შედეგად ბრონშტეინმა ქულა დაკარგა, სპასკიმ და პეტროსიანმა — 1,5-1,5, სმისლოვმა კი 2,5 ქულა (ვიმეორებთ, თითოეულმა 6 პარტიაში. ამასთან, თავდაპირველი გეგმის საწინააღმდეგოდ, ბავშვებსა და დიდოსტატებს სვლების მოსაფიქრებელი დრო გაუთანაბრეს — 2 საათი და 15 წუთი ორივე მხარეს).

... ლენინგრადის 190-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე, 15 წლის ა. იუნეევი, რომელიც თავისი გუნდის მესამე დაფაზე თამაშობს, პირველად დარჩა სმისლოვთან პირისპირ, მაგრამ არ შეშინდა. მან დამაჯერებლად გაითამაშა თეთრებით დებიუტი — ზენონის გაუმჯობესებული დაცვა — და საწყის სტადიაში ერთგვარი პოზიციური უპირატესობაც მოიპოვა. შემდეგ მან კიდევ უფრო გააუმჯობესა მდგომარეობა, როცა დაფის ცენტრში შეიჭრა. შედეგად იუნეევს ზედმეტი პაიკი დარჩა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბრწყინვალედ იცავდა თავს, მაგრამ ვერას გახდა — ფარხმალი დაყარა ნორჩი ოსტატობის კანდიდატის წინაშე.

ბედნიერმა ბლიომამ მადლობის სიტყვებით ახსენა თავისი უფროსი ძმა, რომელმაც ჭადრაკის თამაში ასწავლა, და დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი, რომელმაც ლენინგრადელ მოსწავლეებს მოსკოვში გამგზავრების წინ საწვრთნელი სეანსი ჩაუტარა.

მეორე ნორჩმა ოსტატობის კანდიდატმა — კიეველმა ლ. ზაიდმა პეტროსიანს მოუგო, თუმცა მრისხანე მეტოქე ცოტა „დაეხმარა" კიდეც. მესამე გამარჯვებული — აზოვი — გვიან საღამოს გამოვლინდა, როცა გადადებული პარტიების საკითხი გადაწყდა. საქმე ისაა, რომ გადადებული პარტიების დამთავრების ნაცვლად ამ ტურნირში სათამაშო დროის გასვლის შემდეგ გუნდების კაპიტნები და მთავარი მსაჯი ბოტვინიკი წყვეტენ დაუმთავრებელი შეხვედრების ბედს. ასეთი პარტია რამდენიმე იყო. დავასახელოთ მოსკოველი ოსტატობის კანდიდატის ვ. ჩეხოვის ორთაბრძოლა სპასკისთან. ჩეხოვი ჯერ კიდევ პარტიის დამთავრებამდე ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ აღელდა (სპასკისთან თამაშობდა კაცი!) და მოგების გზა დაკარგა. მიუხედავად ამისა, კომპეტენტურმა ტრიომ იგი გამარჯვებულად სცნო.

შვიდმა ბავშვმა დიდოსტატებთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

II ტურში დიდოსტატებმა „თავი ხელში აიყვანეს". შემვენებისთვის სმისლოვი თბილისელებს უგებდა ანგარიშით 5:0, ბრონშტეინი ჩელიაბინსკელებს — 4,5:0,5, სპასკი რიგელებს — 3,5:0,5, ტალი ლენინგრადელებს — 3,5:1,5, პეტროსიანი მოსკოველებს — 2,5:0,5, კარპოვი — კიეველებს — 2,5:1,5. ბავშვებმა გამარჯვება ვერ მოიპოვეს, მაგრამ შეუპოვრად იბრძოდნენ და ცხრა შეხვედრაში ნახევარ-ნახევარი ქულა მიიღეს (ათი გადადებული პარტიის ჩაუთვლელად).

ერთი სიტყვით, ბავშვებმა ძალიან კარგად აიღეს სტარტი შეჯიბრებაში, რომელიც მათთვის ოსტატობის საუცხოო სკოლაა.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

* * *

სურათზე: I ტური. ბ. სპასკი მოსკოველ პიონერებს ეთამაშება.

ა. აბაზის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა").

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი სკოლის ეზოდან

# ოთხმოცდამეშვიდეში...

... შოთა კაკაურიძე 34 წელია ნორჩი თაობის ფიზიკურ აღზრდას ემსახურება, მთელს ცოდნასა და ენერგიას მინდობილ საქმეს სწირავს. მონდომებულ შრომას ნაყოფიც კარგი მოსდევს: თბილისის 87-ე საშუალო სკოლის (დირექტორი პ. შუბითიძე) ფიზკულტურული კოლექტივი მისი ზრუნვით მარტო 26 კომისრის რაიონში კი არა, მთელს თბილისში ერთ-ერთ სანიმუშოდ გადაიქცა.

— კმაყოფილი ვართ. ფიზკულტურის გაკვეთილზე, სექციის მეცადინეობაზე, შეჯიბრების დროს ვერც ერთ მოსწავლეს სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარეშე ვერ ნახავთ. ყველა კლასს თავისი ფორმა აქვს. ბავშვებს უყვართ ფიზკულტურა და ბევრი კარგი ღონისძიების თაოსნებიც არიან, — გვითხრეს სკოლაში.

კაკაურიძეს მხარში უდგანან ბონდო მირველაშვილი, რომელიც I-V კლასებთან მუშაობს, და შედარებით ახალგაზრდა სპეციალისტი ლილი ლომთაძე. აღმზრდელები ყველა საკითხს ერთად წყვეტენ, ყველა წარმატების სიხარულსა და მარცხის სინანულსაც ერთნაირად ინაწილებენ.

დავინტერესდით, როგორ მიმდინარეობდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. „არც ერთი მოსწავლე მზდ ნიშნის გარეშე!“ — დერეფანშივე თვალში მოგვხვდა ტრანსპარანტი, ეზოში კი, სადაც ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის სექტორები აქვთ, მეორე ტრანსპარანტი შემოგვეგება: „მოსწავლეებო, აქტიურად ჩაებით მზდ ნორმატივების ჩაბარებაში!“.

განსაკუთრებით ის მოგვეწონა, რომ ეზოში მზად იყო სარბიელი სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში, ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში, ტანვარჯიშულ ხკამზე წოლბჯენში, ღერძზე მიზიდვაში, რბენაში საასპარეზოდ.

— ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადება დროულად დავიწყეთ. თავდაპირველად ნორმატივები მხოლოდ მეათეკლასელებმა ჩააბარეს. სკოლაში ათასზე მეტი მოსწავლეა. ექიმმა მხოლოდ 20 ბავშვი გაათავისუფლა, მაგრამ ფიზკულტურის მიღმა არც ისინი დაგვიტოვებია — გაკვეთილებს მაინც ესწრებიან, შედარებით იოლ დატვირთვას ვაძლევთ, მსაჯობენ. სხვები გულმოდგინედ ემზადებოდნენ და აი, გამოცდებიც დაიწყო. ნორმატივების ჩამბარებლები კლასების მიხედვით დავყავით. დღეს სარბიელზე მერვეკლასელებს ნახავთ. ვინც ახლა თავს ვერ გამოიჩენს, სამერმისოდ მზადებას გააგრძელებს, — გვითხრა კაკაურიძემ.

... მერვეკლასელები მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ, ჯგუფები სექტორებში დანაწილდნენ. მსაჯთა ბრიგადებმა, რომლებიც უფროსკლასელებით დაუკომპლექტებიათ, ადგილები დაიკავეს. ნორმატივების ჩაბარება დაიწყო. ფიზაღზრდის მასწავლებლებს მუდამ მხარში უდგანან ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო (რომელსაც მეცხრეკლასელი თ. ქამიაძე უდგას სათავეში), პედაგოგები დ. სოროკინი, ლ. ჩიხიაშვილი, ნ. პეტრიაშვილი, ბ. ტაბატაძე, სასწავლო ნაწილის გამგეები გ. ბაბუნიძე, ნ. გაბადაშვილი და სხვ.

კლასებს შორის თავისებური შეჯიბრებაა გამართული — რომელი უფრო მალე და ხარისხიანად ჩააბარებს ნორმატივებს. ცხადია, კლასის ხელმძღვანელებიც ძალიან არიან დაინტერესებული.

დღესაც ასე იყო: VIII[1] კლასის ხელმძღვანელი რუსუდან სუხიაშვილი, VIII[2] კლასის ხელმძღვანელი მარიამ სეფაშვილი და VIII[3] კლასის ხელმძღვანელი ნათელა ისაკაძე სარბიელს მანამ არ მოშორებიან, სანამ პროგრამა არ ამოიწურა.

საუბარში გამოირკვა, რომ 600-მდე მოსწავლემ ნორმატივების უმეტესობა ჩააბარა. 12-13 წლის მოსწავლეებიდან, რომლებიც „მამაცთა და მოხერხებულთა“ საფეხურის ნორმატივებს აბარებენ, სიმაღლეზე ხტომაში შეფასება 60 ბავშვმა მიიღო, ბურთის ტყორცნაში — 84, კროსში — 90, ღერძზე მიზიდვაში — 55, ბაგირზე ცოცვაში — 78, 60 მეტრზე სირბილში — 45 მოსწავლემ.

14-15 წლის ბავშვებში („სპორტული ცვლა“) ეს ციფრები უფრო დიდია: შესაბამისად — 155, 150, 170, 119 (ბაგირზე ცოცვაში ნორმატივებს არ აბარებენ) და 180.

16-18 წლის მოსწავლეებიდან სიმაღლეზე ხტომა უკვე 150-მა ჩააბარა, კროსი — 150, ღერძზე მიზიდვა — 120 ბავშვმა.

— როგორ ფიქრობთ, ოქროს სამკერდე ნიშანს რამდენი მოსწავლე მიიღებს? — ვკითხე დასასრულს კაკაურიძეს.

— წინასწარ რა გითხრათ, შანსი კი ბევრს აქვს. ჯერჯერობით ყველა ნორმატივი „ფრიადზე“ ჩააბარეს VII[3] კლასის მოსწავლეებმა თ. თათარაძემ, ნ. ძებისაშვილმა, ლ. ასანაშვილმა, X[1] კლასიდან — ნ. ყუშიტაშვილმა, თ. გუმბერიძემ, ნ. ფერაძემ, მ. შახნაზაროვმა, X[2] კლასიდან — მ. სეფაშვილმა, თ. გიორგაძემ, X[3] კლასის მოსწავლე ნ. მეტრეველმა და სხვებმა, ყველას ჩამოთვლა ძნელია.

— ნაკლიც გვაქვს. ცურვაში ნორმატივების ჩაბარება გვიძნელდება, მაგრამ ამასაც დავძლევთ... ერთი წუთით, ჯგუფებმა მორიგი ვარჯიში დაამთავრეს, — გვითხრა მასწავლებელმა და განკარგულება გასცა:

— ჯგუფებო, ადექით, შემდეგი იარაღისკენ ნაბიჯით იარ!

... მერვეკლასელებმა ნორმატივების ჩაბარების იმდღევანდელი პროგრამა ამოწურეს. კმაყოფილი დავრჩით. ოღონდ საწყენია, რომ 87-ე საშუალო სკოლის (და სხვა სკოლებისა) მოსწავლეები მახლობლად მდებარე თბილისის არმიელთა სპორტკლუბის სტადიონს ვერ იყენებენ — სავარჯიშოდ არ უშვებენ. განა არმიელთა სპორტულ ნაგებობებს არ ეხება ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, რომ ბაზები მოსწავლეებს უსასყიდლოდ უნდა დაუთმონ?

**ო. გელაშვილი.**

* * *





სურათებზე: VIII[1] კლასის მოსწავლე ზ. რაზმაძე სიგრძეზე ხტომაში აბარებს ნორმატივს; VIII[2] კლასის მოსწავლე ნ. ორთოიძე მსაჯ მ. ქოთიევასგან ბურთებს იღებს.

ავტორის ფოტოები.

---

ჭადრაკი

# ოცი პრეტენდენტი

ტოლიატი, 1 ნოემბერი. 20 უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკე ქალი ჩაება სსრ კავშირის 32-ე ჩემპიონატში. ეს შეჯიბრება ამავე დროს მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირად ითვლება: I-III ადგილებზე გასულნი შემდგომ შესარჩევ ეტაპზე — ფიდე-ს საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

დღეს, ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე მონაწილეებს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. გუდრიაშოვი მიესალმა.

წილისყრის (ნომრები შოკოლადის კამფეტის კოლოფებში იყო ჩაწყობილი) შედეგად მოჭადრაკეები ასე განლაგდნენ: 1. ოსტატობის კანდიდატი მ. სამული (ტალინი), 2. ოსტატი თ. ზელოვა (ფსკოვი), 3. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), 4. ოსტატი ლ. შადურა (კურსკი), 5. ოსტატი ლ. იდელჩიკი (ხარკოვი), 6. საერთაშორისო ოსტატი მ. რანიკუ (ტალინი), 7. საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 8. ოსტატი ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), 9. ოსტატობის კანდიდატი ლ. შჩერბინა (სევასტოპოლი), 10. საერთაშორისო ოსტატი ო. ანდრეევა (ხარკოვი), 11. საერთაშორისო ოსტატი მ. შული (ლვოვი), 12. ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი), 13. საერთაშორისო ოსტატი ა. კისლოვა (ომსკი), 14. საერთაშორისო ოსტატი ა. ეპშტეინი (გორკი), 15. საერთაშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), 16. საერთაშორისო ოსტატი ი. ლევიტინა, 17. ოსტატობის კანდიდატი ე. ბაჟინა (ორივე — ლენინგრადი), 18. ოსტატი ა. მკრტჩიანი (ტაშკენტი), 19. საერთაშორისო ოსტატი ე. რუბცოვა, 20. საერთაშორისო ოსტატი ნ. კონოპლიოვა (ორივე — მოსკოვი).

ტოლიატი, 2 ნოემბერი. I ტურში მოულოდნელი იყო სსრ კავშირის ჩემპიონის ლევიტინას წაგება იდელჩიკთან. ლენინგრადელმა მოჭადრაკემ დებიუტშივე მძიმე პოზიცია მიიღო და შემდგომში დაცვის სწორი გზა ვერ მონახა. 30-ე სვლაზე იდელჩიკმა იოლი, მაგრამ ეფექტური კომბინაციის შედეგად შავ მეფეს შამათი გამოუცხადა.

ბორისენკომ ადვილად სძლია მკრტჩიანს.

ზელოვამ მოუგო რუბცოვას. ამ შეხვედრის შედეგზე ცაიტნოტმა იქონია გავლენა — მთელი პარტიის განმავლობაში რუბცოვას აშკარა უპირატესობა ჰქონდა.

ერთადერთი ყაიმით ბოლოსწბა სამულ — კონოპლიოვას ხანგრძლივი მანევრული ორთაბრძოლა.

ექვსი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

# სწორად ამოხსნეს

„ლელოს“ 8 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული დ. გურგენიძის (თბილისი) ეტიუდი სწორად ამოხსნეს ა. ბიბილურმა (თბილისი), გ. ჩხეიძემ (ვანის რაიონი, სოფ. გორა), ზ. ფაზაგარმა (ზესტაფონი), რ. ჭალაგანიძემ (ბეჟეპკორი).

ეტიუდის ამოხსნა: 1. ხ6 მფc5 2. კd5 მფ:d5 3. b7 კa7 4. მფ:a7 მe7 5. მფa8 (5. მფb6 მc6 6. მფb5 მb8 7. მფb6 მd7+ 8. მფc7 მფe6 9. მფc8 d5 მოგებით) 5. ... მc6 6. მფb8 მb8 7. მფc7 მc6 8. მფb8 მb8 9. მფc7 მa8+ 10. მფb6 მc8 11. b88. ყაიმი.

„ლელოს“ 15 ოქტომბრის ნომერში დასტამბული გ. კაკაბაძის (თბილისი) სამსვლიანი ამოცანა ბევრმა მკითხველმა სწორად ამოხსნა. აი, ის ათი კაცი, ვისი წერილებიც ყველაზე ადრე (საფოსტო შტემპელის მიხედვით) შემოვიდა რედაქციაში: ე. გოგოჭური (გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა), ლ. ხუნწელია (წულუკიძე), გ. შეშაბერიძე (რუსთავი), რ. ჭალაგანიძე (ბეჟეპკორი), თამარ მეზვრიშვილი (გორის რაიონი, სოფ. გარეჯვარი), მ. კორძახია (აბაშა), ზ. ბიწაძე (ზესტაფონი), ა. დავითაშვილი (გორის რაიონი, სოფ. ქვახვრელი), რუსუდან აბზიანიძე (თბილისი), რ. კახიძე (ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი).

ამოცანის ამოხსნა: 1. გd1 d6 2. გa1; 1. ... dc 2. გd7.

---

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობნენ

ტაშკენტი, 2 ნოემბერი (ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს თბილისის „ბურევესტნიკს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი კიდევ ჰქონდა: მას უთუოდ უნდა მოეგო ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთვის“, ხოლო ცსკა-ს — ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდისთვის. თუ ასე მოხდებოდა, თბილისელები და ტაშკენტელები თანაბარ ქულებს (7-7) დააგროვებდნენ და „ბურევესტნიკს“ ბურთების უკეთესი ბალანსით უზრუნველყოფილი ექნებოდა ადგილი უმაღლეს ლიგაში. მართალია, თბილისელებმა დაამარცხეს ზაპოროჟიელები (19:17), მაგრამ ცსკა, რომელიც ტაშკენტის გუნდზე გაცილებით ძლიერია, დამარცხდა (23:24). ამგვარად, ჩვენებმა ბოლო, VIII ადგილი დაიკავეს და უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობნენ.

ბოლო ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: უნივერსიტეტი (კრასნოდარი) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 13:16, „კუნცევო“ (მოსკოვი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 19:18.

**ჯ. ენუქიძე.**

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. (მოსკოვი) | 14 | 10 | 1 | 3 | 248—206 | 21 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 14 | 8 | 4 | 2 | 207—190 | 20 |
| მეტალურგ. ინსტ. (ზაპ.) | 14 | 10 | 0 | 4 | 178—145 | 20 |
| უნივერსიტეტი (კრასნოდ.) | 14 | 5 | 4 | 5 | 199—201 | 14 |
| ცსკა | 14 | 4 | 3 | 7 | 227—233 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. (ტაშკენტი) | 14 | 3 | 3 | 8 | 223—245 | 9 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპ.) | 14 | 3 | 2 | 9 | 183—219 | 8 |
| „ბურევესტნიკი“ (თბ.) | 14 | 3 | 1 | 10 | 185—211 | 7 |

შენიშვნა: მოსკოვის „კუნცევოს“ ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვს და ამიტომ II ადგილი მიეკუთვნა.

---

საქდესი მოგვითხრობს

### „დნესტრის თასი“

ჩერნოვცის სპორტსმენებმა პირველებმა მოიპოვეს გარდამავალი „დნესტრის თასი“, როცა ორიენტირებაში აჯობეს კარპატის მთებიდან შავ ზღვამდე გაჭიმული მდინარის აუზში მდებარე ქალაქების გუნდებს. ლვოვისა და კიშინიოვის წარმომადგენლებმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

გაისად ასეთივე შეჯიბრება მოლდავეთში ჩატარდება.

### ჩემპიონი ულან-უდეში ცხოვრობს

მახაჩყალაში დამთავრდა „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. გაიმარჯვა ულან-უდეს წარმომადგენელმა, ინჟინერმა ტ. კოზულინამ, რომელმაც 12 შესაძლებლიდან 9,5 ქულა დააგროვა. II ადგილზეა 17 წლის ე. ხუტორსკაია (ვოლგოგრადის ოლქი). იგი ჩემპიონს ქულით ჩამორჩა.

### პოდდუბნის პრიზზე

დონის როსტოვში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ი. პოდდუბნის სახელობის პრიზზე. „დინამოს“ დარბაზში ასპარეზობდა მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის, ვოროშილოვგრადის, ასტრახანის, ჩელიაბინსკის ოლქების 132 სპორტსმენი.

დაძაბულ ბრძოლაში პირველობა როსტოვის ოლქის გუნდმა მოიპოვა.

### ეთერის სნაიპერი

ჩელიაბინსკში მოეწყო აზიის კონტინენტის რადიოსპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც ადგილობრივი პოლიტექნიკური ინსტიტუტის V კურსის სტუდენტმა ს. ედელმანმა გაიმარჯვა. მან 48 საათში 1400 კავშირი დაამყარა სხვადასხვა ქვეყნის მოკლეტალღოსნებთან. ამ მიღწევისთვის ედელმანს იაპონიაში დაწესებული სპეციალური თასი ხვდა.

### პატრიოტის ხსოვნის აღსანიშნავად

ერევანში, ელექტრომანქანათმშენებელთა სპორტის სასახლეში დამთავრდა ცნობილი საბჭოთა მოკრივის, ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონის, მოსკოვის დაცვისთვის ბრძოლაში გმირულად დაცემული ლ. თემურიანის ტრადიციული მემორიალი.

ტურნირის მთავარი ჯილდო დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ი. ნერსესიანმა (ერევანი). მან ყველას აჯობა მეორე უმჩატეს წონაში, სადაც წარმატებით გამოდიოდა თემურიანი.

ამ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 120-ზე მეტმა სპორტსმენმა, მათგან სამმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

---

„ლელო“ წერილის კვალდაკვალ

### „არხისმჭრელი... სპორტულ მოედანზე“

ამ სათაურით „ლელოს“ 14 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც თემქ-ის დასახლების მე-11 მიკრორაიონის პირველ კვარტალში სპორტული მოედნის დანგრევას ეხებოდა.

წერილი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაეგზავნა. საქალაქო საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი ქ. მეგრელიშვილი გვატყობინებს, რომ აღნიშნული კვარტალის განაშენიანების პროექტით აქ სპორტული მოედანი გათვალისწინებული არ ყოფილა. წლეულს 7 ივლისს წყალდიდობით დაზარალებული ოჯახების ბინებით დასაკმაყოფილებლად აღნიშნულ მიკრორაიონში დამატებით გამოიყო ტერიტორია საცხოვრებელი სახლების ასაგებად და სპორტმოედნის დანგრევაც ამან გამოიწვია.

მოიჯარე ორგანიზაციები მკაცრად გააფრთხილეს, რომ მშენებლობის დროს დაცული იყოს უსაფრთხოების პირობები, სამშენებლო წესები და ნორმები.

ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს მიეცა მითითება, რომ აღნიშნულ მიკრორაიონში შეარჩიოს ადგილი ახალი სპორტული მოედნის მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მატჩები, გოლები

2 ნოემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

მოსკოვის გუნდების — „დინამოსა" და ცსკა-ს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ერევნის „არარატმა" შინ მიიღო კიევის „დინამო". აქაც მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები—1:1. სტუმართა მხრივ ბურთი გაიტანა ბუზაჩმა (მე-8 წუთზე), ხოლო მასპინძელთაგან — ზანაზანიანმა (28).

გუშინ:

„ყაირათი" — „დნეპრი" 2:0.

## უმაღლესი ლიგა

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქ. | 35 | 22 | 7 | 6 | 68—31 | 51 |
| „შახტ." (დ.) | 37 | 18 | 13 | 6 | 53—20 | 49 |
| „ჩერნომ." | 37 | 19 | 8 | 10 | 64—35 | 46 |
| „კრ. სოვ." | 37 | 14 | 16 | 7 | 49—34 | 44 |
| „ზვეზდა" | 37 | 14 | 15 | 8 | 40—34 | 43 |
| „ტორპედო" | 36 | 18 | 6 | 12 | 46—30 | 42 |
| „შინიკი" | 37 | 15 | 10 | 12 | 38—40 | 40 |
| „პამირი" | 36 | 13 | 12 | 11 | 48—46 | 38 |
| „სპარტაკი" | 37 | 13 | 10 | 14 | 45—48 | 36 |
| „შახტ." (გ.) | 37 | 11 | 13 | 13 | 36—46 | 35 |
| „ოლგა" | 37 | 10 | 14 | 13 | 41—41 | 34 |
| „მეტალურ." | 37 | 13 | 7 | 17 | 45—47 | 33 |
| „ნისტრუ" | 37 | 11 | 11 | 15 | 37—47 | 33 |
| „ავტომობ." | 37 | 8 | 17 | 12 | 27—41 | 33 |
| „ტექსტილ." | 37 | 10 | 12 | 15 | 35—51 | 32 |
| „კრივბასი" | 37 | 10 | 10 | 17 | 49—59 | 30 |
| „მეტალის." | 37 | 9 | 12 | 16 | 31—41 | 30 |
| „სტროიტ." | 37 | 10 | 10 | 17 | 34—55 | 30 |
| „ურალმ." | 37 | 10 | 9 | 18 | 36—57 | 29 |
| „დინამო" | 37 | 7 | 14 | 16 | 30—49 | 28 |

## შესარჩევი მატჩები

### 9:0

**როტერდამი, 2 ნოემბერი.** ჰოლანდიის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის თავის პირველ შესარჩევ მატჩში (III ჯგუფი) ანგარიშით 9:0 (1:0) დაამარცხა ნორვეგიის ნაკრები. ამ ჯგუფში ჯერჯერობით ლიდერობენ ბელგიელები, რომლებსაც სამი თამაშის შემდეგ 6 ქულა აქვთ. 19 ნოემბერს ჰოლანდიელები სწორედ ლიდერს ეთამაშებიან.

### 2:1, მაგრამ...

**ფლორენცია, 2 ნოემბერი.** უეფა-ს თასის გათამაშების მეორე მეთექვსმეტედფინალურ მატჩში სეტუბალის „ვიტორიის" (პორტუგალია) დამარცხების (2:1) მიუხედავად, ადგილობრივი „ფიორენტინა" ტურნირს გამოეთიშა, ვინაიდან პორტუგალიელებმა პირველი შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 1:0.





**თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 ნოემბერი.**

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 2:0 (2:0).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ხელიძე, პეტრიაშვილი, გოგიჯანაშვილი, გავაშელი (ყიფიანი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (კუტივაძე), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„სპარტაკი": დარვინი, ლოგოფეტი (ბუკიევსკი), ოლშანსკი, ლოვჩევი, აბრამოვი, ბულგაკოვი, მინაევი, ჰუსაინოვი, პისკარიოვი, პაპაევი, რედინი (ეგოროვიჩი).

მსაჯი მ. ჩერდანცევი (ალმაათა).

# + 2 ქულა

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო იმ მატჩების მნიშვნელობა, რომლებიც თბილისის „დინამოს" ჰქონდა დარჩენილი 2 ნოემბრისთვის. 4 ქულა, ესე იგი ორივე თამაშის მოგება ის მინიმუმი იყო, რომელიც ჩვენს გუნდს სჭირდებოდა საპრიზო ადგილზე გასასვლელად. მაგრამ ამას აუცილებლად უნდა დაერთოს დინამოელთა კონკურენტების შეფერხება მომავალ შეხვედრებში, რათა ჩვენი 35 ქულა გამსვლელ ბალად იქცეს ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში.

„სპარტაკს" წამყვან ჯგუფში მოხვედრის იმედი გადაწურული აქვს, მაგრამ პრესტიჟის შენარჩუნებისთვის ძალას არ იშურებს დარჩენილ მატჩებში. ამას გარდა, გუნდს უფლება არა აქვს თუნდაც ოდნავ მოადუნოს მზადყოფნა და მობილიზება, ვინაიდან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში საუკეთესო მდგომარეობაშია.

ერთი სიტყვით, მოსალოდნელი იყო შეუპოვარი, დაუნდობელი ბრძოლა და ასეც მოხდა. 90 წუთი ალსავსე გამოდგა დაძაბული, სახიფათო მომენტებით, ორივე მხარე ერთმანეთის ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა.

პირველი ტაიმი მთლიანად დინამოელებისა იყო. ტემპს, რომელიც მათ შესთავაზეს სპარტაკელებს, სტუმრები ვერ აჰყვნენ, თავიდანვე წააგეს ბრძოლა შუა მინდორში და იძულებული გახდნენ თავიანთ საჯარიმო მოედანზე დაეხიათ მდგომარეობის სახსნელად. კონტრთამაშის შექმნა მათ ვერ შეძლეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ მასპინძლები განუწყვეტლივ, სწრაფად და მაქსიმალური ენერგიით უტევდნენ, მეორეც, ბურთის დაკარგვის შემთხვევაში „დინამოს" თავდამსხმელები იქვე, „სპარტაკის" საჯარიმო მოედანზე ებრძოდნენ მოწინააღმდეგე მცველებს და არ აძლევდნენ საპასუხო იერიშების წამოწყების საშუალებას. რაც შეეხება ორივე გუნდის ნახევარმცველთა „ურთიერთდამოკიდებულებას", თბილისელები ცენტრალურ ზონაში თავიანთ მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგნენ.

დინამოელებმა ანგარიში ადრევე გახსნეს, რამაც მათს თამაშს მეტი დამაჯერებლობა მისცა. ეს ასე მოხდა: მე-8 წუთზე მაჩაიძემ განახორციელა სწრაფი გარღვევა, გადასცა ბურთი გ. ნოდიას, მან — ლ. ნოდიას და ზუსტი, შეუცდომელი დარტყმის შემდეგ ანგარიშიც გაიხსნა.

დინამოელთა იერიშები თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში არ შეწყვეტილა. აქტიურად მოქმედებდა შეტევის ორივე ფლანგი, განსაკუთრებით, ლ. ნოდია. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ „სპარტაკის" კარში მეორე გოლი გავიდა. 43-ე წუთზე მაჩაიძემ, რომელიც ბურთით მოძრაობდა მოსკოველთა საჯარიმო ხაზის გასწვრივ, შეამჩნია, რომ მეკარე დარვინს არ ჰქონდა კარგად შერჩეული ადგილი კარის წინ და დაუყოვნებლივ დაარტყა. დარვინს ამ მომენტში ფეხიც დაუცდა და ანგარიში გახდა 2:0.

სრულიად საწინააღმდეგო ხასიათი მიეცა ბრძოლას მეორე ტაიმში. თბილისელებმა ტემპს უკლეს, შეუდგნენ ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას და ინიციატივას სპარტაკელები დაეუფლნენ. არ გაამართლა შეცვლებმაც, ვინაიდან, გუცაევის მინდვრიდან გასვლის შემდეგ ხელ-ფეხი გაეხსნა ლოვჩევს, რომელიც შემტევი ტიპის მცველია. ყიფიანს ადგილი უნდა დაეკავებინა მარჯვენა ფლანგზე, რათა ლოვჩევისთვის არ მიეცა თავისუფალი მოქმედების საშუალება. ეს კი არ მოხდა. კუტივაძეც მაშინვე ვერ ჩაება ბრძოლაში მთელი მონდომებით და „სპარტაკი" სრული ძალით გადავიდა იერიშზე. თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა დინამოელთა დაცვას, გოგია სისტემატურად ერთვოდა ბრძოლაში, შეიქმნა რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი: 55-ე წუთზე ჰუსაინოვმა შორიდან ძელს მოახვედრა ბურთი, შემდეგ პაპაევმა ააცდინა მიზანს ახლოდან, გოგიამ მოიგერია აბრამოვისა და პისკარიოვის ძლიერი დარტყმები...

ასე გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით 30 წუთს. მაინც, თბილისელებმა გაუძლეს ამ სიძნელეებს, მოიგერიეს შტურმი და ბოლოს ისევ გაათანაბრეს თამაში, ხოლო 75-ე წუთზე სტუმრები იღბლად გადაურჩნენ გოლს, როცა გ. ნოდიას მიერ დარტყმული ბურთი სულ რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა მათს კარს.

**ზ. ქორქია.**

• • •

ორი გოლი მოსკოვის „სპარტაკის" კარში. მარცხენა სურათზე აღბეჭდილია პირველი გოლი, რომელიც მეკარე ი. დარვინის კარში გაიტანა ლ. ნოდიამ; მარჯვნივ — ი. დარვინი უძლურია მოიგერიოს მ. მაჩაიძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი. გეგეჭკორის „სალხინომ" ანგარიშით 4:1 დაამარცხა თბილისის „ისანი". ასეთივე ანგარიშით დამთავრდა თბილისის არმიელთა და ლაითურის „გიგანტის" შეხვედრა. გაიმარჯვეს არმიელებმა.

ზუგდიდის „დინამომ" საკუთარ მინდორზე წააგო ზესტაფონის „მეტალურგთან" — 1:2.

### გათამაშების ცხრილი

**I ჯგუფი**

მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 35 | 25 | 8 | 2 | 66—32 | 58 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 35 | 23 | 8 | 4 | 74—32 | 54 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 35 | 18 | 9 | 8 | 60—30 | 45 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 36 | 14 | 12 | 10 | 49—53 | 40 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 36 | 13 | 13 | 10 | 62—53 | 39 |
| „კახეთი" (თელავი) | 35 | 16 | 6 | 13 | 52—54 | 38 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 35 | 14 | 9 | 12 | 62—44 | 37 |
| „ხულორი" (ვანი) | 35 | 14 | 9 | 12 | 39—33 | 37 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 35 | 12 | 13 | 10 | 34—35 | 37 |
| ასკ (თბილისი) | 35 | 10 | 14 | 11 | 44—39 | 34 |
| „ისანი" (თბილისი) | 37 | 11 | 12 | 14 | 35—41 | 34 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 35 | 14 | 5 | 16 | 55—51 | 33 |
| „სამცხე" (ახალციხე) | 36 | 12 | 8 | 16 | 59—57 | 32 |
| „ივერია" (ხაშური) | 35 | .13 | 6 | 16 | 38—59 | 32 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 34 | 11 | 9 | 14 | 47—45 | 31 |
| „მგრისი" (ცხაკაია) | 35 | 12 | 7 | 16 | 47—61 | 31 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 35 | 12 | 7 | 16 | 38—54 | 31 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 35 | 10 | 10 | 15 | 28—40 | 30 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 34 | 8 | 10 | 16 | 47—60 | 26 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 35 | 6 | 8 | 21 | 21—56 | 20 |
| „მარკეთილი" (გარდაბანი) | 35 | 5 | 9 | 21 | 24—52 | 19 |

## ძლიერი მეტოქე დაამარცხეს

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა რეგბისტთა ამხანაგური მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო", რომელმაც საგაისოდ საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, და საქართველოს პირველობის პრიზიორი — ქუთაისის „ლოკომოტივი".

თამაში თბილისელთა იერიშებით დაიწყო. 30-ე წუთზე სტუმრებმა შეძლეს ქუთაისელთა დაცვაში ბზარი მოენახათ და დავითაიამ ბურთი მასპინძელთა ჩათვლის მოედანზე დადო — 4:0. რეალიზაცია კარგად გამოიყენა კიზირიამ. ანგარიში გახდა 6:0.

თამაშის ცენტრიდან დაწყებისთანავე ბურთი მიიღო ქუთაისელმა გოგავამ, კარგად აუარა გვერდი რამდენიმე თბილისელს და ბურთი თბილისელთა ჩათვლის მოედანზე დადო. 6:4 — ასე დამთავრდა შეხვედრის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ ქუთაისელი რეგბისტები გააქტიურდნენ. 55-ე წუთზე ფურცხვანიძემ იერიში ბრწყინვალედ დააგვირგვინა — 8:6. შემდეგში სტუმართა ნახევარმცველმა კიზირიამ შერკინებიდან გამოსული ბურთი მიიღო, არეკნით დაარტყა და ახლა უკვე თბილისელები დაწინაურდნენ — 9:8.

თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ბურთი ლოკომოტიველმა კავთელაშვილმა ჩაიგდო ხელში და თბილისელთა ჩათვლის მოედანზე შეიტანა. მანვე კარგად შეასრულა რეალიზაცია. ქუთაისის „ლოკომოტივმა" გაიმარჯვა — 14:9.

**ლ. ფაჩუაშვილი,**
(ჩვენი კორ.)

ქუთაისი.

• • •

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.



## იტალიელთა გეგმები

**რ**ოგორც იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მისი გუნდი მომავალი წლის პირველ ნახევარში რამდენიმე შეხვედრას გამართავს.

13 იანვარსა და 26 თებერვალს იტალიელები მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში ორჯერ შეხვდებიან თურქებს, 31 მარტს, ამავე ტურნირში, ლუქსემბურგელებს. 9 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი რიო-დე-ჟანეიროში ეთამაშება მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს, ხოლო 14 ივნისს ლონდონში — ინგლისელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც მაყურებლებს არ უნახავთ...

კანადის უძლიერეს პროფესიონალ ჰოკეისტთა შეხვედრები საბჭოთა კავშირის ნაკრებთან სპორტის მილიონობით მოყვარულმა ნახა, ოღონდ, რა თქმა უნდა, უმთავრესად ტელეეკრანზე. მაგრამ მაინც ბევრი რამ, რაც ამ მატჩებთან იყო დაკავშირებული, ჩრდილში დარჩა. ამ თამაშებს წინ უძღოდა და ახლდა ბევრი სხვადასხვა მოვლენა და ფაქტი. ამიტომაც გვსურს ბოლოსიტყვაობის სახით გიამბოთ მათზე.

რას ნიშნავს კანადელისთვის ჰოკეი? ამბობენ, თუ კანადელმა ხელში ჯოხი ჩაიგდო, მყისვე კაპიკიანზე მეტი ზომისა და ფეხბურთის ბურთზე პატარა საგნის ძებნას დაიწყებს და შემდეგ შაიბასავით აგორავებს. კანადაში ვერ ნახავთ კაცს, რომელსაც თავისი ცხოვრების რომელიმე პერიოდში ჰოკეი არ ეთამაშოს.

ეს ჩემი აზრი არ არის, ოტაველმა მწერალმა და სპორტულმა ჟურნალისტმა ს. იანგმა მითხრა. პროფესიონალთა გუნდების ბევრი მოთამაშე ამბობს, რომ მისი მოთხრობები და წიგნები ჰოკეიზე იტაცებდა მათ და ინტერესს უღვივებდა.

იანგმა კანადაში ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საბჭოთა ჰოკეის სიძლიერე, სი-ბი-სის ტელეკომპანიაში თანამოაზრეები მონახა და 1968 წლის ბოლოს მოსკოვში გამოემგზავრა. დეკემბერში მისი სცენარით გადაიღეს ფილმი „შაიბა! შაიბა!“, რომელსაც დღესაც წარმატებით უჩვენებენ კანადის ტელევიზიით. მაშინ გადაიღეს ზიმინი, შადრინი, მარტინიუკი, სოლოდუხინი, გუსევი, შატალოვი, ორლოვი, ლიაპკინი — ერთი სიტყვით, ბევრი მათგანი, ვინც დღეს ნაკრებში თამაშობს.

1969 წლის თებერვალში ფილმი უკვე დამონტაჟებული იყო და ოკეანეს გაღმა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრების მოგზაურობის დროს ფილმის „გმირები“ რეცენზენტებად იქცნენ. შენიშვნები უმნიშვნელო იყო. კმაყოფილმა იმით, რომ სწორად შეაფასა საბჭოთა ჰოკეი, იანგმა შინ მიიპატიჟა გუნდის ხელმძღვანელი ა. სტაროვოიტოვი. თან უთხრა რამდენიმე მოთამაშეც წამოიყვანეთო.

— მე ვფიქრობ, — ამ სიტყვებზე სტაროვოიტოვმა ჩვეულებისამებრ თვალები ცოტა ეშმაკურად მოჭუტა, — ჩვენ იმათ წამოვიყვანთ, ვისაც მისტერ იანგი კიდევ შეხვდება. თან შეხვდება არაერთგზის, მოვლენ ზიმინი, სოლოდუხინი, შადრინი და ორლოვი.

კანადელი სტუმართმოყვარე მასპინძელი აღმოჩნდა, თუმცა მშობლიურ სახლთან განშორებისა და სასტუმროდან სასტუმროში ორი კვირის მანძილზე ხეტიალის შემდეგ ყოველი საცხოვრებელი ბინა მყუდრო და ალერსიანი ჩანს.

— შეგიძლიათ საბჭოთა ჰოკეის მეგობრად მიგულოთ, — თქვა იანგმა. — როდესმე თქვენი გუნდი შეხვდება უძლიერეს მოთამაშეებს, „მონრეალ კანადიენსის“ ან „ტორონტო მეიპლ ლიფსის“ ჰოკეისტებს, როდესმე თქვენ შეძლებთ მათს დამარცხებას და მაშინ ჩემი თანამემამულეების აღიარებას მოიპოვებთ...

ეს ითქვა 1969 წელს, როცა საბჭოთა ჰოკეისტები მზად იყვნენ პროფესიონალებს შეხვედროდნენ. ამ შეხვედრებს მხარს უჭერდნენ ჰოკეის ფედერაცია, ნაკრების მწვრთნელები ა. ჩერნიშოვი და ა. ტარასოვი.

... მახსენდება მოხუცი, რომელიც მებაღედ მუშაობდა მონრეალის მახლობელ ქალაქ დორვალის ერთ-ერთ სასტუმროში. დღის ორი-სამი საათისთვის იგი ლუდის რამდენიმე კათხას ცლიდა. ბუნებრივია, მას ძალიან სურდა „იქიდან“ ჩამოსულ კაცთან საუბარი. მოხუცს სჯეროდა და არც სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირში არის საპლანეტთაშორისო რაკეტები, რომ, ალბათ, ავტომანქანებიც არის საბჭოთა კავშირში. ერთხელ, როცა ყველაფერში დავარწმუნე, გავბრაზდი და ვუთხარი: ჰოკეიში ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები ვართ, თქვენ — კანადელები კი მხოლოდ მესამენი-მეთქი.

ნეტავ იცოდეთ, რა მოხდა!..

განრისხებულმა მოხუცმა თვალები დაიბრიალა, გაძვალტყავებულ ხელებს ქარის წისქვილის ფრთებივით იქნევდა და მიყვიროდა: ჩვენს პროფესიონალებთან მოგებას ვერ ეღირსებითო.

* * *

1967 წლის სექტემბერში დავათვალიერე მონრეალის სახელგანთქმული დარბაზი „ფორუმი“ — „მონრეალ კანადიენსის“ კლუბის ციტადელი. ვარჯიშიც ვნახე: საკმაოდ შთამბეჭდავი სანახავი იყო. ბიჭები საოცარი თავგანწირვით მუშაობდნენ. შემდეგ განმიმარტეს, თურმე ამ დროს წყდებოდა საკითხი, თუ ვის დაუდებდნენ ხელშეკრულებას და რა თანხაზე. ეს მე ამიხსნა რედ ფიშერმა — გაზეთ „მონრეალ სტარის“ ჰოკეის მიმომხილველმა. იგი შესანიშნავად ერკვევა ჰოკეიში და მიაჩნდა, რომ კანადის ჰოკეისტები უძლიერესნი კი არა, დაუმარცხებელნიც არიან.

ახლა, როცა შეხვედრების რვამატჩიანი სერია დამთავრდა, ზოგჯერ ვცდილობ წარმოვიდგინო იანგის, დორვალელი მოხუცისა და ფიშერის სახის გამომეტყველება იმ დროს, როცა პირველსავე შეხვედრაში „ოლ სტარზი“ დამარცხდა. დავუშვათ, იანგი ნაწილობრივ მზად იყო ამისთვის. მაგრამ ფიშერი? იგი მოსკოვს ეწვია კანადელი ჟურნალისტების დიდ ჯგუფთან ერთად, ჩვენ ლუჟნიკის ტრიბუნებზე შევხვდით ერთმანეთს და მე გავიგონე: „ბოდიშს ვიხდი იმ აბდაუბდისთვის, რაც კანადურ ჰოკეიზე გასულ წლებში გითხარით“.

როგორ ემზადებოდნენ კანადელები საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მატჩებისთვის? მთელი გუნდი შეიკრიბა ტორონტოში 12 აგვისტოს. ვარსკვლავების ასეთ შეკრებას უსკანდალოდ არ ჩაუვლია. ყოველ მოთამაშეს სურდა იმ ნომრით გამოსვლა, რომლითაც თავის კლუბში თამაშობდა. მაგალითად, ფ. ესპოზიტომ მიიღო „თავისი“ შვიდიანი, რ. ბერენსონს კი მე-15 ნომერი ერგო. ორი მეორე ნომრიდან — ბერგმანიდან და პარკიდან — უპირატესობა ბერგმანს მიანიჭეს. ვარჯიშს კანადელებმა ცოტა მედიდურად შეხედეს, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ისედაც იოლად დაამარცხებდნენ საბჭოთა ჰოკეისტებს. წარმოშობით სლოვაკელი ს. მიკიტა იმით იყო დაკავებული, რომ თანაგუნდელებს ასწავლიდა რუსულად... ლანძღვა-გინებას. ამ საქმეს მთელი გუნდი მხიარულად ასრულებდა. უნდა ითქვას, რომ ჩვეულებრივ საუბარშიც კანადელი პროფესიონალები მეტად ხშირად ხმარობენ უცენზურო გამოთქმებს. ამბობენ, რომ თავიანთ სამშობლოში მათ პირველი ადგილი უკავიათ ამ მხრივ და უკან ჩამოიტოვეს ვეშაპზე მონადირე მეთევზეებიც კი.

აი, შადრინის პირველი შთაბეჭდილება მეტოქეების გაცნობის შემდეგ.

— წვეულებაზე შევხვდით ერთმანეთს. შევდივართ დარბაზში, ისინი სავარძლებში არიან გაშხლართულები. თითქმის ყველა სიგარას აბოლებს, თითქმის ყველას თმების ფაფარი აყრია. პირდაპირ „კროკოდილის“ კარიკატურებს ჰგვანან. ჩვენ ცოტა დამცინავად გვიყურებდნენ, როგორც „გასატყეპ ბიჭებს“. პატივისცემით მხოლოდ კენ დრაიდენი — მეკარე გვექცეოდა. იგი „მონრეალ კანადიენსში“ თამაშობს, მაგრამ სამოყვარულო ნაკრებშიც გამოსულა, ასე რომ, რამდენადმე გვიცნობს.

* * *

პირველი ვარჯიში საბჭოთა გუნდს მთელი ძალით არ ჩაუტარებია — ძნელია მაინც, როცა უცებ დროის სხვა სარტყელში აღმოჩნდები. სტუმრების ვარჯიშის ნახვის მერე ცნობილმა მეკარე ჟაკ პლანტმა დაწერა სტატია, რომელსაც მხოლოდ შეურაცხმყოფელს თუ უწოდებ. იგი ამბობდა, რომ, ტრეტიაკი შუა ხაზიდან პირველივე ძლიერი დარტყმის შემდეგ კარში დაიმალებაო, ფორვარდები პირველივე იერიშის შემდეგ პარკის ძალისმიერი ილეთების წყალობით გამუდმებით მოაჯირზე იქნებიან მიჯულეტილიო.

სხვა მოთამაშეებიც ძალიან იქებდნენ თავს. ასე, ბ. კლარკმა განაცხადა: „ბოლოს და ბოლოს მოგვეცა საშუალება დავამტკიცოთ, რომ მართლაც მსოფლიოში უძლიერესი ჰოკეისტები ვართ“.

და რარიგ მოულოდნელი იყო კანადელთათვის მათი ნაკრების მარცხი! რეპორტიორები წერდნენ, რომ ჰოკეი კანადაში „შოუ-ბიზნესად“ — სანახაობრივ საწარმოდ იქცა, ხოლო მათი მეტოქეებისთვის ეს თამაშია, რომელსაც ისინი უკიდურესად სერიოზულად ეკიდებიან.

ვარსკვლავები იმდენად გულმოკლულები ჩანდნენ პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ, რომ მხოლოდ სამმა მათგანმა გაიხსენა წესიერება და თამაშის შემდეგ მეტოქეებს გამარჯვება მიულოცა. სამაგიეროდ, პირველი ოთხი შეხვედრის მერე უკვე მთელმა ნაკრებმა სთხოვა საბჭოთა მოთამაშეებს მათთვის ავტოგრაფებიანი ყუანჯები ეჩუქებინათ.

გაზეთები კი რას წერდნენ... „დიმანშ-მატენმა“ თავისი ანგარიში ასე დაასათაურა — „ლე კანადა ეკრანზე 7:3“, ხოლო სიტყვა „ეკრანზე“ ნიშნავს: მოტეხილია, მწარედ დამარცხდა, განადგურებულია, გასრესილია, მოსპობილია.

ორთაბრძოლების მოსკოვურ ნაწილზე ბევრი რამ დაიწერა. ყველამ საკუთარი თვალით ნახა კანადის პროფესიული ჰოკეი — მისი უძლიერესი წარმომადგენლების მაღალი ოსტატობა და მეტისმეტი უხეშობა, გაუმართლებელი სისასტიკე და ზოგჯერ ხულიგნობაც კი ყინულზე.

სასტუმრო „ინტურისტში“, სადაც კანადის მოთამაშეები და ჟურნალისტები ცხოვრობდნენ, სპეციალური დიდი ნომერი იყო აღებული იჯარით. ამ კანადურ პრეს-ცენტრში შუა დღისთვის ჟურნალისტები ღებულობდნენ ჰოკეის ანგარიშების თარგმანებს, რაც მოსკოვურ გაზეთებში იყო გამოქვეყნებული. თითქმის ყოველდღე მწვრთნელები ჰ. სინდენი და ჯ. ფერგიუსონი აქ „თავიანთებისთვის“ პრეს-კონფერენციებს მართავდნენ.

ლუჟნიკში ყოველი მატჩის შემდეგ იმართებოდა პრეს-კონფერენციები ორივე გუნდის მწვრთნელებისთვის. შემდეგ კი სინდენი და ფერგიუსონი თანამემამულეების ალყაში ექცეოდნენ. ერთხელ მეც ვკითხე ფერგიუსონს: „ვინ იყო დღეს „მკვლელი“? (კანადის პროფესიულ ჰოკეიში „მკვლელი“ ის მოთამაშეა, რომელმაც ნებისმიერი საფასურით მწყობრიდან უნდა გამოიყვანოს მეტოქის გუნდის უძლიერესი მოთამაშე) და ფერგიუსონმა, რომელმაც ვერ შენიშნა, რომ კანადელი ჟურნალისტი არ ეკითხებოდა, მექანიკურად მიპასუხა: „რასაკვირველია, კლარკი. ვფიქრობ, მან დიდი ხნით გააგდო ხარლამოვი...“ მრავლისმეტყველი აღიარებაა.

თავის ნაკრებზე რომ ლაპარაკობდა, ფერგიუსონი მხოლოდ თავს აქნევდა:

— ძალიან ბევრი ვარსკვლავია ერთად თავმოყრილი. ყოველი მათგანი მხოლოდ თავის თავზე, თვით რეკლამაზე ფიქრობს. ყოველი მათგანს მიაჩნია, რომ მხოლოდ მას შეუძლია კანადის პრესტიჟის ამაღლება... თუნდაც ხელმძღვანელი ალან იგლსონი ავიღოთ — რისთვის დასჭირდა მას ყინულზე გადასვლა ბოლო თამაშში და მილიციელებთან ჭიდაობა... რეკლამისთვის!

— მაგრამ უნდა ვაღიარო, — თქვა ფერგიუსონმა, — საბჭოთა ჰოკეისტები დიდებულად თამაშობენ.

ვ. კუკუშკინი.



## მწვრთნელი ულოცავს

როგორც ცნობილია, ტყავის ბურთის უბადლო ოსტატმა, ინგლისელმა რობერტ (ბობი) ჩარლტონმა ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და სულ მალე ალბათ მწვრთნელობას მოჰკიდებს ხელს.

ეს სურათი გადაღებულია 1968 წელს რომში. ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სერ ალფ რამსეი რ. ჩარლტონს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს ულოცავს. ეს-ესაა დამთავრდა მატჩი III ადგილისთვის, რომელშიც ინგლისელებმა სსრ კავშირის გუნდს სძლიეს — 2:0.

ჩემპიონობა მოიპოვეს მასპინძლებმა — იტალიელებმა, რომლებმაც ფინალურ მატჩში იუგოსლავიის ნაკრებს აჯობეს.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ძველი მეგობრები

როგორც ვიუწყებოდით, „სტოკ-სიტის“ და ინგლისის ნაკრების მეკარეს გორდონ ბენქსს საავტომობილო კატასტროფის შედეგად თვალი დაუშავდა და კიდეც რომ მოურჩეს, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ამიტომ „სტოკ-სიტის“ ხელმძღვანელობას ახალი მეკარის ძებნა მოუხდა. მან ჯერ 25 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა „კლაიდბენკისა“ და შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე, 21 წლის მაიკლ მაკდონალდი, მაგრამ ეს ფეხბურთელი შედარებით გამოუცდელია და ამიტომ „სტოკ-სიტიმ“ კიდევ ერთი, გამოცდილი მეკარის ყიდვა განიზრახა. კლუბის ხელმძღვანელობამ შოტლანდიურ კლუბ „აბერდინს“ 100 ათასი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა ცნობილი მეკარე, 26 წლის ბობი კლარკისთვის. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ „აბერდინის“ მწვრთნელმა ჯ. ბონსროუნმა ეს წინადადება მიიღო.

ბენქსი კი ისევ საავადმყოფოში წევს და ჯერ კიდევ არ იციან, რა ბედი ეწევა.

როგორც ვიცით, ამას წინათ ლისაბონის „ბენფიკა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩში ინგლისში შეხვდა „დერბი ქაუნთის“ (ეს მატჩი ინგლისელებმა მოიგეს — 3:0). როცა „ბენფიკის“ საქვეყნოდ ცნობილმა თავდამსხმელმა ეუსებიომ ბენქსის ამბავი შეიტყო, ძალიან შეწუხდა და თქვა: „გორდონი ჩემი საუკეთესო მეგობარია და ერთობ მაფიქრებს მისი ბედი. თუ მოვახერხე, უეჭველად ვინახულებ ლისაბონში დაბრუნებამდე“.

### ყოველი ტურის შემდეგ

ჟურნალ „ფრანს ფუტბოლს“ ტრადიცია აქვს: ეროვნული ჩემპიონატის პირველი დივიზიონის (ჩვენებურად — უმაღლესი ლიგა) ყოველი ტურის შემდეგ ფეხბურთელებს კარგი თამაშისთვის ვარსკვლავებს უსვამენ. ამ თავისებურ ნიშნებს სეზონის ბოლოს აჯამებენ და გამარჯვებული „ფრანს ფუტბოლის“ სპეციალურ პრიზს იმსახურებს.

ახლა ამ ვარსკვლავებით I ადგილზეა ნაკრებისა და „ოლიმპიკ-მარსელის“ მცველი ბოსკიე. მან 43 ვარსკვლავი მიიღო.

### 15 ნოემბრამდე...

ცნობილმა მალიელმა თავდამსხმელმა ს. კეიტამ, რომელიც საფრანგეთის „სენტ-ეტიენში“ თამაშობდა, შუა სეზონში გადაწყვიტა კლუბის შეცვლა და „ოლიმპიკ-მარსელში“ გადავიდა. ამისთვის მას „სენტ-ეტიენის“ მოთხოვნით ეროვნულმა ფედერაციამ 15 ნოემბრამდე დისკვალიფიკაცია მისცა.

ასევე „ოლიმპიკ-მარსელში“ გადავიდა „აიაქსის“ ცენტრალური მცველი მ. ტრეზორი. მასაც 15 ნოემბრამდე მიეცა დისკვალიფიკაცია.

რატომ მაინცდამაინც 15 ნოემბრამდე? იმიტომ, რომ ამ დღეს ფრანგები დუბლინში თამაშობენ მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში.

## ამხანაგური შეხვედრა

ბრატისლავა, 2 ნოემბერი. აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ვერაფერი გააწყო გდრ-ის გუნდის წინააღმდეგ და დამარცხდა — 1:3.

ბურთები გაიტანეს: მასპინძელთაგან — პეკარიკმა (76-ე წუთზე), სტუმართაგან — კრიშემ (16 და 61) და დუკემ (70).

მატჩს 15 ათასი მაყურებელი დაესწრო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**წყალბურთი.** „ლოკომოტივის“ აუზი (300 არაგველის ქ. № 1). 4 ნოემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი). დასაწყისი 16 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. 4 ნოემბერი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია). დასაწყისი 14 ს. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ივერია“ (ხაშური). 16 ს. 8 ნოემბერი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). 14 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 4-6 ნოემბერი. საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობა. დასაწყისი 11 ს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი

ვლადიმერ სოკრატეს ძე არუთინოვი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 10271